

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ კენჭოშვილი

გრანატის და ოლივინის ჯგუფის მინერალების მაგალითზე, უწყლო
სილიკატური ნაერთების თერმოდინამიკური პარამეტრების დადგენა
სტრუქტურული ინგრედიენტების ადიტიურობის მეთოდით

სადოქტორო პროგრამა - ქიმია

შიფრი - 0531

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2026 წელი

სამუშაო შესრულებულია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი,
ქიმიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - ვლადიმერ გორდელაძე

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება 2026 წლის "-----" ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და
ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის
კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
მისამართი: 0160, თბილისი, მ.კოსტავას გამზ.№77, ხოლო
ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებ-გვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი: პროფესორი- ეკა ცქიტიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა: ქიმიის, გეოლოგიის და რიგი დისციპლინების მრავალი თეორიული და გამოყენებითი ასპექტის განვითარება დაკავშირებულია განსხვავებულ სისტემებში მიმდინარე ქიმიური პროცესების შესწავლასთან. ქიმიური პროფილისა და განსაკუთრებით ახალი მასალებისა და ნაერთების შემუშავებასთან დაკავშირებული დისციპლინების შემთხვევაში, უახლეს წარსულში დომინირებდა მრავალრიცხოვან ექსპერიმენტებზე დაფუძნებული ემპირიული მიდგომა, რაც მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური და მასალათმცოდნეობის პრობლემების გადაჭრისას, შრომის, მასალების, ენერჯისა და დროის გაუმართლებელ ხარჯებს იწვევდა. განსაკუთრებით, იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო იყო სისტემებზე მაღალ ტემპერატურული ზემოქმედების გათვალისწინება. მაგალითად, გეოლოგიური პროფილის დისციპლინების შემთხვევაში, ემპირიული მიდგომის ცნება, ხშირად ტექნიკურად ძალიან რთულად განსახორციელებელ ექსპერიმენტებს მოითხოვს. კომპლექსურ სისტემებში, ქიმიური ურთიერთქმედების ბუნების შეფასების ერთადერთი მართებული გზა, თერმოდინამიკური ანალიზია.

სხვადასხვა სირთულის ქიმიური სისტემების თერმოდინამიკური ანალიზი, რომელიც მოიცავს არამარტო რამდენიმე ნივთიერებას შორის მიმდინარე რეაქციას, არამედ ასობით ნივთიერებასთან დაკავშირებულ სისტემებს, შესაძლებელს ხდის მრავალ შეკითხვას გასცეს პასუხი. კერძოდ, კონკრეტულ სისტემაში, რომელი ქიმიური რეაქცია შეიძლება მიმდინარეობდეს სპონტანურად (თავისთავად) მოცემულ პირობებში, ანუ რომელი პროდუქტები შეიძლება წარმოიქმნას მოცემულ პირობებში საწყისი ნივთიერებებისგან; მოხდეს, ქიმიური რეაქციების თავისთავადი მიმდინარეობის ზღვრების განსაზღვრა, რაც გულისხმობს ქიმიური წონასწორობის პარამეტრების დადგენას; ასევე სისტემისთვის მითითებული შედგენილობის მისაღწევად აუცილებელი პირობების განსაზღვრა.

მრავალი ამ და სხვა პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ნებისმიერი ქიმიური რეაქციის თანმხლები მოვლენების თერმოდინამიკური შეფასებით. სავალდებულო მოთხოვნის შესრულებისას მიღებული შედეგები უნდა

შესაბამებოდეს სისტემაში მიმდინარე შესაძლო პროცესებს, ხარისხობრივად და რაოდენობრივად. ანალიზით მიღებული შედეგების სანდოობა განისაზღვრება იმ ხარისხით, რომლითაც დაკმაყოფილებულია მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია სისტემის ყველა, ან ძირითადი კომპონენტის გათვალისწინებასთან, რეალური შესასწავლი სისტემისთვის არჩეული მოდელის ადეკვატურობასთან და ა.შ. ამ მოთხოვნათაგან მთავარია, საწყისი ნივთიერებების თერმოდინამიკური თვისებების სანდოობა, რაც ნებისმიერი თერმოდინამიკური მოდელის საფუძველია. თუ ეს მოდელი დაფუძნებულია ჯიბსის თავისუფალი ენერჯის მინიმიზაციის მეთოდზე, მაშინ, მიუხედავად ამ მეთოდის განხორციელების საშუალებებისა, აუცილებელია საწყისი სისტემის (რეაქცია) ნივთიერებების (კომპონენტების) თერმოდინამიკური პარამეტრების სტანდარტული მოლური მნიშვნელობების ($\Delta H_{f,298}^{\circ}$, $\Delta G_{f,298}^{\circ}$, ΔS_{298}° , $C_{p,298}$) ცოდნა. ითვლება, რომ ეს მნიშვნელობები შეიძლება მივიღოთ: – მოცემულ ტემპერატურებზე ბის ექსპერიმენტული შესწავლით; – ჰესის კანონზე დაფუძნებული თერმოქიმიური გამოთვლებით; – გალვანური ელემენტების ე.მ.დ.-ის გაზომვით; – გამოთვლებით ექსპერიმენტულად მიღებული სპექტროსკოპიული მონაცემების საფუძველზე (სტატისტიკური და კვანტური მექანიკის მეთოდები); – პოლიემპირიულ კანონზომიერებზე დაფუძნებული გამოთვლებით, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ექსპერიმენტული მონაცემების არარსებობის შემთხვევაში. მონაცემების მიხედვით, ჩამოთვლილი საშუალებებიდან, ყველაზე საიმედო შედეგების მიღება შესაძლებელია ექსპერიმენტალურად კალორიმეტრიული გაზომვების საფუძველზე. ეს უკანასკნელი, შესაბამის პროცესებში შთანთქმის ან გამოთავისუფლებული სითბოს გაზომვით შესაძლებელს ხდის თერმული ეფექტის და სითბოტევადობის დადგენას, რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელია სხვა თერმოდინამიკური პარამეტრების გამოთვლა.

ამ საშუალებებით მიღებული შედეგები მუდმივად ზრდის ნივთიერებების თერმოდინამიკური თვისებების მონაცემთა ბაზას. მიუხედავად ამისა, არაორგანულ ნივთიერებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, მათ შორის სილიკატური ნაერთები, რჩება შესაბამისი თერმოდინამიკური მახასიათებლების გარეშე. ამჟამად, ცნობილია ათეულობით მიახლოებითი მეთოდი არაორგანული ნაერთების სტანდარტული მოლური თერმოდინამიკური პარამეტრების

მნიშვნელობების გამოსათვლელად, რომელთაგან შემოთავაზებულია რამდენიმე მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მნიშვნელობების $\pm 3-5\%$ -იან სიზუსტეს, რომლებიც სავსებით მისაღებია პრაქტიკული გამოყენებისთვის. თერმოდინამიკური პარამეტრების დადგენის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება სტრუქტურული ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდი, რომელშიც საშუალებით შესაძლებელია, არსებულ მონაცემთა ბაზებში 7000-მდე ობიექტის თერმოდინამიკურ თვისებათა შერწყმით, განისაზღვროს „თერმოდინამიკურად უცნობი“ ნივთიერებათა სტანდარტული მოლური თერმოდინამიკური პარამეტრების სიდიდეები. განსაკუთრებით სილიკატური ნაერთების, რომელთა კლასიფიკაცია სილიკატების თანამედროვე „კრისტალოქიმიურ კლასიფიკაციის“ საშუალებით მოხდა.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანი. სტრუქტურული ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდის ანალიზის საფუძველზე გადაილახოს ის სირთულეები, რომლები წარმოიქმნება ამ მეთოდის სარგებლობისას. რათა, სტრუქტურული ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდმა ჰპოვოს სილიკატების კრისტალოქიმიურ კლასიფიკაციაში შემავალი ქვეკლასების სილიკატების მაღალი საიმედოობის მქონე სტანდარტული მოლური თერმოდინამიკური პარამეტრების სიდიდეების დადგენის მეთოდის სტატუსი. დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო შემდეგი ამოცანების გადაჭრა – ჩვენს ხელთ არსებული სილიკატების და მათ წარმოქმნაში მონაწილე არასილიკატური ნაერთების თერმული კონსტანტების მონაცემთა ბაზების (სტანდარტული ცხრილების) კრიტიკული ანალიზი; – სილიკატების კრისტალოქიმიურ კლასიფიკაციაში ქვეკლასების სილიკატთა სტრუქტურული მოწყობის გათვალისწინებით პრინციპების ჩამოყალიბება, კონკრეტულ ქვეკლასში შემავალ სილიკატების ჯგუფებად დაყოფის მიზნით; – თერმოდინამიკის წიაღში, თერმოდინამიკური სიდიდეთა შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზებში (სტანდარტულ ცხრილებში), არსებული მონაცემების საიმედოობის ხარისხის დასადგენად საშუალების მოძიება. აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო იყო სილიკატების აღნაგობის კანონზომიერებების, თერმოდინამიკური კანონებისა და სილიკატების სტანდარტული მოლური თერ-

მოდინამიკური პარამეტრების მნიშვნელობების მონაცემთა ბაზების (სტანდარტული ცხრილების) შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენება.

კვლევის ობიექტი და მეთოდები: მინის წარმოქმნის შესაფასებლად საჭირო თერმოდინამიკურ მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით, 2010 წლიდან გამოქვეყნდა რამოდენიმე ნაშრომი, რომლებშიც, შემოთავაზებული იყო მულტიკომპონენტური სისტემებში სილიკატების სტანდარტული მოლური თერმოდინამიკური პარამეტრების განსაზღვრის საანგარიშო მეთოდი. შემდგომში, ეს მეთოდი გამოყენებული იყო ხუთკომპონენტური $\text{Na}_2\text{O}-\text{BaO}-\text{SrO}-\text{B}_2\text{O}_3-\text{SiO}_2$ სისტემაში მაღალტემპერატურული პროცესების თერმოდინამიკური შეფასებისათვის. ზემოაღნიშნული წყაროების შესაბამისად, სტრუქტურული ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდი შემუშავებულია მყარი კრისტალური სხეულების თეორიისა და პრაქტიკის რიგ სფეროში არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად. მათ შორის ძირითადია: -სილიკატების თანამედროვე კრისტალოქიმიური კლასიფიკაცია; -მყარფაზა რეაქციათა თეორია და პრაქტიკა- წარმოდგენები მყარ ამორფულ და კრისტალურ სხეულებში ახლო და შორეულად მოქმედი ბმების შესახებ; -მყარი სხეულების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ადიტიურობის პრინციპები;-მყარი კრისტალური სხეულების თერმული კონსტანტების (სტანდარტულ ცხრილების) მონაცემთა ბაზები.სხვადასხვა წყაროებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე შემოთავაზებულია შემდეგი პოსტულატი: -სილიკატების თითოეული ახალი მდგომარეობა არის, მისი წინა და მომდევნო მდგომარეობათა ელემენტების შერწყმის შედეგი, გამოსახული ენერგეტიკულ ერთეულებში. პოსტულატი შეიძლება შემდეგი ტოლობით გამოისახოს:

$$E_1 + E_2 = E_3 \pm E_4, \quad 1$$

სადაც, E_1 არის, საძიებელ (ახალ) სილიკატზე უფრო ნაკლები სტრუქტურული მოწყობის მქონე სილიკატის ენერგია, E_2 - საძიებელზე უფრო მეტი სტრუქტურული მოწყობის მქონე სილიკატის ენერგია, E_3 - საძიებელი სილიკატის სტრუქტურული მოწყობის ენერგია, E_4 - კი E_1 და E_2 ენერგიების მქონე სილიკატების ურთიერთქმედების შედეგად, გამოყოფილი (შთანთქმული) ენერგია. თუ გავითვალისწინებთ სილიკატების კრისტალოქიმიურ კლასიფიკაციას განტოლება (1) გარდაიქმნება სილიკატების კრისტალოქიმიური კლასიფიკაციის

სხვადასხვა ქვეკლასის სილიკატისათვის (სილიკატებისათვის) რამდენადმე განსხვავებულს, თუმცა ზემოთ მოხსენებული პრინციპის შესაბამის გამოსახულებად.

– კუნძულოვანი სილიკატებისათვის, განტოლება (1)-ს ექნება შემდეგი სახე:

$$R_1 + R_2 = Pd \pm E_4, \quad 2$$

სადაც, R_1 -რეაგენტი წარმოადგენს ნივთიერებას, რომელსაც არ ახასიათებს სილიკატური მოწყობა, R_2 -ნივთიერება, რომლის სტრუქტურული მოწყობა ხარისხით აღემატება პროდუქტის (Pd) სტრუქტურულ მოწყობას. R_1 შეიძლება იყოს ნებისმიერი ოქსიდი, გარდა SiO_2 -ისა, ან სილიკატური სტრუქტურის არმქონე არაორგანული ნივთიერება. R_2 რეაგენტებს მიეკუთვნებიან ჯგუფური, რგოლური და სილიკატები იზოლირებული ჯგუფებით;

– ჯგუფური სილიკატების შემთხვევაში გამოსახულება (2) რჩება ძალაში. განსხვავება იმაშია, R_1 -ის როლში შეიძლება იყოს კუნძულოვანი სილიკატიც, რომელსაც ნაკლები ხარისხის სტრუქტურული მოწყობა გააჩნია, ვიდრე პროდუქტს – ჯგუფურ ნაერთს;

– რგოლური სილიკატებისათვის R_1 -ის როლში შეიძლება გამოვიდეს ორი რეაგენტი, ხოლო R_2 -ის როლს შეასრულებს Pd -ზე მეტი სტრუქტურული ორგანიზაციის მქონე სილიკატი (ჯაჭვისებრი, ფენოვანი, კარკასული).

ამ ლოგიკით აიგება სილიკატების კრისტალოქიმიური კლასიფიკაციის დანარჩენი ქვეკლასების სილიკატების მიღების მოდელი. აღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით მყარი უწყლო სილიკატების თერმული კონსტანტების განსაზღვრის საშუალებას, სტრუქტურული ინგრედიენტების ადიტიურობის მეთოდი ეწოდა. სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდი ოპერირებს შემდეგი განსაზღვრებებითა და ცნებებით:

– **ეტალონი (E_t)** არის სილიკატების კრისტალოქიმიური კლასიფიკაციის ნებისმიერი ქვეკლასის სილიკატი (სილიკატები), რომელთა თერმული კონსტანტები გამოირჩევა საიმედოობის მაღალი ხარისხით. იგი განტოლება (2)-ში Pd -სიმბოლოთია აღნიშნული, მისი ენერჯის აღსანიშნავად გამოიყენება სიმბოლოები E_{Et} ან A .

– **სტრუქტურული ინგრედიენტი (SI)** წარმოადგენს მარტივ ქიმიურ ნაერთს, რომელიც თითოეული საკვლევი ნივთიერების (სილიკატის) წარმოქმნაში

მონაწილეობს. გამოსახულება (2)–ში იგი შეესაბამება R_1 –ითა და R_2 –ით აღნიშნულ სიმბოლოებს. მისი ენერგიის აღსანიშნავად სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდში E_{SI} – სიმბოლოა გამოყენებული. SI –ის ენერგიების ჯამი (ΣE_{SI}) იდეალურ შემთხვევაში A' –ით აღნიშნება $E_{Et}=A'$ ($\Sigma E_{SI}=E_{Et}=A'$). თუმცა, უმეტეს შემთხვევაში $A/A' \neq 1$.

– **თანაფარდობის კოეფიციენტი** (K_{∞}) არის A/A' ფარდობა, ანუ სილიკატების კრისტალოქიმიური კლასიფიკაციის კონკრეტული ქვეკლასის თითოეული ეტალონის ენერგიის ფარდობა ΣE_{SI} –თან: თუ, საძიებელია გარკვეულ ქვეკლასში რამდენიმე სილიკატი, მაშინ განისაზღვრება თითოეული მათგანის K_{∞} (ΣK_{∞}). –**ნიველირების კოეფიციენტი** (K_6) წარმოადგენს, ΣK_{∞} ფარდობას ეტალონთა რაოდენობასთან ($K_6=\Sigma K_{\infty}/n$).

–**B** არის ნივთიერების სტანდარტული მოლური თერმოდინამიკური თვისების მნიშვნელობა, რომელიც მიღებულია ნიველირების კოეფიციენტის გამრავლებით A' –ზე ($B=K_6 \cdot A'$).

–**ცდომილების მაჩვენებელი** (Δ) წარმოადგენს თითოეული ქვეკლასის ნაერთის ეტალონისა და სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდით მიღებული იგივე ნაერთის თერმული კონსტანტების სხვაობას ($\Delta=A-B$). იგი გამოი-სახება ენერგეტიკულ ერთეულებსა ან/და პროცენტებში.

სამეცნიერო სიახლე: სილიკატების სტანდარტული მოლური თერმო-დინამიკური პარამეტრების გაანგარიშებას, გამოთვლის სხვადასხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სტრუქტურული ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდს რიგი სიახლე(უპირატესობა) გააჩნია. მათ შორის აღსანიშნავია: -სტრუქტურული ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდი, სტან-დარტული მოლური თერმოდინამიკური პარამეტრების დადგენისას, სილიკატე-ბისა და რიგი არასილიკატების ძირითადად თერმოდინამიკის წიაღში არსებული ინფორმაციით სარგებლობის საშუალებას იძლევა;-სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდი, სილიკატების კრისტალოქიმიურ კლასიფიკაციაში შემავალი ქვეკლასების სილიკატების სტანდარტული მოლური თერმოდინა-მიკური პარამეტრების მნიშვნელობებს დადგენა შესაძლებელია არა ინდივიდუა-ლურად, არამედ ჯგუფურად – სილიკატების ამ თუ იმ ჯგუფისათვის შესაბამისი ნიველირების კოეფიციენტის დადგენით. რაც, ამარტივებს „თერმოდინამიკურად

უცნობი“ სილიკატების სტანდარტული მოლური თერმოდინამიკური პარამეტრების მნიშვნელობების გაანგარიშებას.

დებულებების, დასკვნების და პრაქტიკული რეკომენდაციების სარწმუნოება: მიღებული შედეგების სარწმუნოება იმით დასტურდება, რომ სრულ თანხვედრაშია ფუნდამენტალურ, თეორიულ კანონზომიერებებთან.

პრაქტიკული ღირებულება: სტრუქტურული ინგრედიენტების ადიტიურობის მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას, არა მხოლოდ, როგორც „თერმოდინამიკურად უცნობი“ სილიკატების პარამეტრების მოპოვების საშუალება, არამედ როგორც სხვა გაანგარიშების მეთოდებით განსაზღვრული თერმოდინამიკური პარამეტრების სტანდარტული მოლური მნიშვნელობების სიზუსტისა და სანდოობის მაჩვენებელი. ამასთანავე, შემოთავაზებული მეთოდი წარმოადგენს თერმოდინამიკური თვისებების ბაზების შევსების შესაბამის საშუალებას.

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია სტუ-ს სტუდენტთა 88-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, 2024 წ., მოხსენება „სილიციდების ენტროპიის დადგენა სტრუქტურული ინგრედიენტების ადიტიურობის მეთოდით“. სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნებული ნაშრომები წარმოადგენს სადისერტაციო თემის ძირითად შინაარსს, რომლის შედეგები მიღებულია დოქტორანტის მიერ.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 127 ნაბეჭდ გვერდს. შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას, კვლევის შედეგებს, მათ განსჯას და დასკვნებს. ნაშრომს თან ერთვის 32 ცხრილი და 18 ნახაზი. ნაშრომში მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

კვლევის ძირითადი შედეგები და მათი განსჯა: პრაქტიკული ნაწილი, შემოთავაზებული მეთოდის განსახორციელებლად, თერმული მუდმივების მონაცემთა ბაზების „მზადყოფნის“ შესახებ ინფორმაციის შეგროვებით იწყება. „მზადყოფნა“, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროში მოწოდებული ინფორმაციის სანდოობას, რაც შედარების მეთოდებითაა უზრუნველყოფილი. გრანატის ჯგუფის მინერალთა კრისტალოქიმიის საკითხისადმი მიძღვნილია არა ერთი ათეული კვლევა. რის შედეგადაც დადგინდა, რომ კუნძულოვანი სილიკატების ქვეკლასში გაერთიანებულია იზოლირებული $[SiO_4]$ -ტეტრაედრების მქონე ნაერთები, რომლები კიდევ იყოფიან ჯგუფებად მათი დაკრისტალების

სინგონიების მიხედვით. მაგალითად, ოლივინის ჯგუფის სილიკატები კრისტალდებიან რომბულ სინგონიაში, გრანატის ჯგუფის - კუბურში, ოლივინმაგვარი - ჰექსაგონალურში და ა.შ. მაშასადამე, ამ მინერალთა თერმული კონსტანტების განსაზღვრა სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდით ცალ-ცალკე უნდა მოხდეს.

გრანატის ჯგუფის მინერალები შეიძლება გამოვსახოთ ზოგადი ფორმულით: $A_3B_2(SiO_4)_3$, სადაც $A=Ca^{2+}, Mg^{2+}, Fe^{2+}, Mn^{2+}$, ხოლო $B=Al^{3+}, Fe^{3+}, Cr^{3+}$. ელემენტარული უჯრედების მიხედვით მათ ჰყოფენ ორ ტიპად: პირალსპიტებად და უგრანდიტებად. პირალსპიტების ტიპს მიეკუთვნება შემდეგი მინერალები: პიროპი (Pir)- $Mg_3Al_2[SiO_4]_3$, ალმადინი (Alm)- $Fe_3Al_2[SiO_4]_3$ და სპესარტინი (Spe)- $Mn_3Al_2[SiO_4]_3$, ხოლო უგრანდიტებს - უვაროვიტი (Uva) - $Ca_3Cr_2[SiO_4]_3$, გროსულიარი (Gro) - $Ca_3Al_2[SiO_4]_3$ და ანდრადიტი (And) - $Ca_3Fe_2[SiO_4]_3$.

აღნიშნული მინერალების თერმული კონსტანტების სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდით დადგენისათვის, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მათი თერმული კონსტანტების მოძიება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებში (ცხრილი 1).

ცხრილი 1. გრანატის ჯგუფის მინერალების თერმული კონსტანტები


ჯგუფი	მინერალი	თერმული კონსტანტები		
		$-\Delta H_{f,298}^0$, კკალ/მოლი	$-\Delta G_{f,298}^0$, კკალ/მოლი	S_{298}^0 , კკალ/მოლ.К
პირალსპიტები	Pir	1502.06	1417.88	62.32
		1484.87	-	-
		1502.50	1417.76	60.30
		1503.71	1429.47	63.70
		-	1428.45	-
	Alm	1512.10	1428.80	65.00
		1261.08	1183.51	80.38
		1267.20	1187.80	74.40
	Spe	ინფორმაცია არ მოიძებნა		
უგრანდიტები	Uva	1407,20	1323,70	-
	Gro	1586,11	1499,74	61,19
		1583,20	1496,80	61,19
		1571,90	1490,30	76,90
		-	1484,90	-
		1585,64	1499,25	61,21
	And	1379,50	1290,00	-
		1387,80	1307,65	78,20
		1373,50	1290,00	-
		1379,06	1293,51	80,20

როგორც ირკვევა, პიროპის (Pir) შემთხვევაში შესაძლებელია გამოვიყენოთ საინფორმაციო წყაროები, რომლებშიც თერმოდინამიკურ მუდმივათა განზნევა უმნიშვნელოა. ალმადინის (Alm) შემთხვევაში თერმული კონსტანტების შესახებ ინფორმაციის პოვნა, მხოლოდ ორ წყაროშია შესაძლებელი. სამწუხაროდ, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, $\Delta H_{f,298}^0$ -ის მნიშვნელობათა განზნევა 6 ერთეულს აღემატება, $\Delta G_{f,298}^0$ -ისა და S_{298}^0 -ის მნიშვნელობათა განზნევა კი ~4-ის ტოლია. საკმაოდ რთულია ცალსახად ეტალონის (სტანდარტის) არჩევა და იგი დამატებით კვლევებს მოითხოვს. რაც, შეეხება სპესარტინს (Spe), მის შესახებ საკითხი შეიძლება, მხოლოდ ალმადინის თერმული კონსტანტების ეტალონის დადგენის შემდეგ დადგეს. უვაროვიტის შესახებ ინფორმაცია, მხოლოდ ერთ წყაროშია მოცემული და ისიც არასრულად, რასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამ მინერალის თერმული კონსტანტების დადგენა შეიძლება, მხოლოდ უგრანდიტების ტიპის მინერალთა მუდმივების გაანგარიშების შემდეგ.

უგრანდიტების ტიპის მინერალი - გროსულიარი (Gro), ისევე როგორც პიროპი (Pir), „მდიდარია“ სტანდარტებით. მართლაც, სამ საინფორმაციო წყაროში არსებული Gro-ს თერმული კონსტანტები, საკმაოდ საიმედოა მათი განზნევის


თვალსაზრისით. ანდრადიტის (And) შემთხვევაში სიტუაცია ამ მხრივ უფრო რთულია. როგორც ჩანს, სტანდარტების დასადგენად, საჭიროა თერმული კონსტანტების განზნევათა კომბინირება.

სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდით თერმული კონსტანტების გაანგარიშებისას, პირველ რიგში აუცილებელია სისტემის მოდელის განსაზღვრა. ქვემოთ მოცემული მოდელი შეესაბამება გრანატის ჯგუფის ყველა მინერალს:



სადაც, RO = MgO, FeO, MnO, CaO; Cr - მინერალის სიმბოლოა, RS - მეტასილიკატის შესაბამისი კათიონის სიმბოლო, Cor - კორუნდი.

მოდელის მიხედვით, პირველი ნივთიერება წარმოადგენს სილიკატს (გრანატის ჯგუფის მინერალები), რომლებსაც გააჩნიათ კუნძულოვანი ორგანიზაცია. სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდის თანახმად ისინი წარმოდგენილია ეტალონის როლში. RO · SiO₂ და Al₂O₃ იგივე მეთოდით შეასრულებს სტრუქტურული ინგრედიენტების როლს. RS-ს აქვს უმაღლესი სილიკატური ორგანიზაციის ხარისხი, მეტი ვიდრე Gr-ს, ხოლო Al₂O₃-ს ეს ორგანიზაცია საერთოდ არ გააჩნია. მაგალითისათვის მოცემულია Pir-ის მოდელი:



ცხრილი 2. პირობის სტრუქტურული ინგრედიენტების ს.მ.თ.პ.

ნაერთის ფორმულა	სტანდარტული მოლური თერმოდინამიკური პარამეტრები(ს.მ.თ.პ.)		
	ΔH ^o _{f,298} , კკალ/მოლი	ΔG ^o _{f,298} ,კკალ/მოლი	S ^o _{f,298} , კ კალ/მოლ·K
3(MgO · SiO ₂)	-1110,63	-1047,60	48,58
Al ₂ O ₃	-400,50	- 378,18	12,17
3MgO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	-1508,94	-1423,93	61,88

ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნა საქსენას მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილებში (3, 4).

ცხრილი 3. პირალსპიტებისა და უგრანდიტების მისაღებად საჭირო მინერალების თერმული კონსტანტები

ს.მ.თ.პ.	ენსტატიტი (MS),En		ფეროსილიტი (FS),Fers		როდონიტი (MS),Rod	ვოლმასტანი (CS),Wol	კორუნდი (A), Cor
	კლინო	ორთო	კლინო	ორთო			
$-\Delta H_{f,298}^{\circ}$, კკალ/მოლი	369,57	370,21	286,10	285,75	315,68	390,22	400,50
$-\Delta G_{f,298}^{\circ}$, კკალ/მოლი	348,70	348,45	267,60	267,21	296,51	369,87	378,18
S_{298}° , კკალ/მოლ.К	15,8	16,12	22,50	22,32	21,30	19,85	12,17

როგორც ჩანს, სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდის განსახორციელებლად ყველა თავდაპირველი პატრამეტრი იკრიბება, თუმცა ყოველთვის არა, რადგან ზოგიერთი მინერალი ორი მოდიფიკაციის სახით გვხვდება. მაგალითად, $MgO \cdot SiO_2$ და $FeO \cdot SiO_2$ - შეიძლება იყოს კლინოენსტატიტის, კლინოფეროსილიტის და ორთო ფორმების სახით. მათი თერმული კონსტანტები ოდნავ განსხვავდება, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უნდა შეირჩეს. ჩვენ არჩევანი შევაჩერეთ ენსტატიტის და ფეროსილიტის ორთო ფორმებზე, ორივე მინერალი სტანდარტულ პირობებშია. ამ პირობების შესაბამისად, სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდით, გაანგარშებულ იქნა ორივე პირალსპიტის თერმული კონსტანტები ცხრილი (4).

ცხრილი 4. პიროპის და ალმადინის ს.მ.თ.პ-ის გაანგარიშების თანმიმდევრობა და შედეგები

ნაერთის სახელი, სიმბოლო და ფორმულა	ს.მ.თ.პ. (A)	ფორმულა და ს.მ.თ.პ. (სტრ. ინგრ., SI)			K _თ = A/A'	K _ნ = ΣK _თ /n	ს.მ.თ.პ. (B) (განგარ.)	ცდომილება	
		ფორმულა	ს.მ.თ.პ. SI	Σს.მ.თ.პ. (A')				A-B	%
$\Delta H_{f,298}^{\circ}$ -ს გაანგარიშება (კკალ/მოლი)									
პიროპი, Pir 3MgO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	-1505.10*	3(MgO·SiO ₂) Al ₂ O ₃	-1108.71 * -400.48*	-1509.19	0.9973	0.99995	-1509.11	4.01	0.27
ალმადინი, Alm 3FeO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	-1261.00*	3(FeO·SiO ₂)	-857,28 -400.48*	-1257,73	1.0026		-1257,67	3.39	0.27
$\Delta G_{f,298}^{\circ}$ -ს გაანგარიშება (კკალ/მოლი)									
პიროპი, Pir 3MgO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	-1421.02*	3(MgO·SiO ₂) Al ₂ O ₃	-1044.90* -377,48	-1422,38	0.9990	1.0007	-1423,33	2.28	0.16
ალმადინი, Alm 3FeO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	-1181.80*	3(FeO·SiO ₂) Al ₂ O ₃	-801,60 -377,48	-1179.08	1.0023		-1179,85	1.95	0.16
S_{298}° -ს გაანგარიშება (კალ/მოლი · K)									
პიროპი, Pir 3MgO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	62.98	3(MgO·SiO ₂) Al ₂ O ₃	48.60* 12.16	60.76	1.0365	1.0314	62.67	0.31	0.49
ალმადინი, Alm 3FeO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	81.19*	3(FeO·SiO ₂) Al ₂ O ₃	66.96 12.16*	79.12	1.0262		81.60	0.41	0.50
$C_{p,298}$ -ს გაანგარიშება (კალ/მოლი · K)									
პიროპი, Pir 3MgO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	77 .42 *	3(MgO·SiO ₂) Al ₂ O ₃	58.23* 18.82	77.05	1.0048	1.0008	77.11	0.32	0.41
ალმადინი, Alm 3FeO · Al ₂ O ₃ · 3SiO ₂	83.72*	3(FeO·SiO ₂) Al ₂ O ₃	65.18* 18.82	84.00	0.9967		84.07	0,35	0.42

K_5 -ის მნიშვნელობა განსაზღვრის შემდეგ, შესაძლებელია განისაზღვროს სპესარტინის თერმული კონსტანტებიც (ცხრილი 5).

ცხრილი 5. სპესარტინის თერმული კონსტანტების გაანგარიშება

SI	ს.მ.თ.პ, SI	Σს.მ.თ.პ, (A')	K_5	$B = K_5 \cdot A'$
$-\Delta H_{f,298}^{\circ}$, კკალ/მოლი				
3(MnO·SiO ₂), Al ₂ O ₃	944,04 400,50	1344,54	0,99995	1344,47
$-\Delta G_{f,298}^{\circ}$, კკალ/მოლი				
3(MnO·SiO ₂), Al ₂ O ₃	88,53 378,13	1267,66	1,0007	1268,55
$S_{f,298}^{\circ}$, კკალ/მოლი·K				
3(MnO·SiO ₂), Al ₂ O ₃	63,90 12,17	76,07	1,0314	78,46
C_{P298} , კკალ/მოლ·K				
3(MnO·SiO ₂), Al ₂ O ₃	61,98 18,82	80,80	1,0008	80,86

სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდით გაანგარიშებული სპესარტინის თერმული კონსტანტების მნიშვნელობებია:

$$\Delta H_{f,298}^{\circ} = -1344,47 \text{ კკალ/მოლი}; \quad \Delta G_{f,298}^{\circ} = -1268,55 \text{ კკალ/მოლი};$$

$$S_{f,298}^{\circ} = 78,46 \text{ კკალ/მოლი·K}; \quad C_{P298} = 80,86 \text{ კკალ/მოლ·K}.$$

უგრანდიტების ტიპის მინერალების ეტალონების შერჩევა, პირალსპიტების მსგავსად მოხდა. სტანდარტების გაანგარიშება გროსულიარისა და ანდრადიტისთვის ჩატარდა ცხრილ 3-ში გაანგარიშებების თანმიმდევრობის მიხედვით (ცხრილი 6), გარდა ამისა გამოყენებული იქნა ვოლასტონიტი (Wol) – Ca₃Si₃O₉, ჰემატიტი (Hem) – Fe₂O₃, ესკოლაიტი (Esk) – Cr₂O₃, როგორც სტრუქტურული ინგრედიენტები (SI). ისევე, როგორც პირალსპიტების შემთხვევაში, თუ ცნობილია K_5 , მაშინ შეიძლება გამოვთვალოთ უვაროვიტის თერმული კონსტანტები (ცხრილი 7).

ცხრილი 6. გროსულიარის და ანდრადიტის ს.მ.თ. პ-ის გაანგარიშების თანმიმდევრობა და შედეგები

ნაერთის სახელი, სიმბოლო და ფორმულა	ს.მ.თ.პ. (A)	ფორმულა და ს.მ.თ.პ (სტრ. ინგრ., SI)			K _თ = A/A'	K _ნ = ΣK _თ /n	ს.მ.თ.პ. (B) (განგარ.)	ცდომილება	
		ფორმულა	ს.მ.თ.პ. SI	Σს.მ.თ.პ. (A')				A-B	%
$\Delta H_{f,298}^{\circ}$ -ს გაანგარიშება (კკალ/მოლი)									
გროსულიარი, Gro $3CaO \cdot Al_2O_3 \cdot 3SiO_2$	-1584,65	$3(CaO \cdot SiO_2)$ Al_2O_3	-1170,81 -400.48*	-1571,27	1.0085	1.0075	-1583.05	1,60	0.10
ანდრადიტი, And $3CaO \cdot Fe_2O_3 \cdot 3SiO_2$	-1376.25*	$3(CaO \cdot SiO_2)$ Fe_2O_3	-1170,81 196.60	-1367,41	1.0065		-1377,67	1.39	0.10
$\Delta G_{f,298}^{\circ}$ -ს გაანგარიშება (კკალ/მოლი)									
გროსულიარი, Gro $3CaO \cdot Al_2O_3 \cdot 3SiO_2$	-1499.05*	$3(CaO \cdot SiO_2)$ Al_2O_3	-1110.03 -377,48	-1487,51	1.0078	1.0069	-1497,77	1.28	0.09
ანდრადიტი, And $3CaO \cdot Fe_2O_3 \cdot 3SiO_2$	-1294.66*	$3(CaO \cdot SiO_2)$ Fe_2O_3	-1110.03 -177.04	-1287.07	1.0059		-1295,95	1.29	0.10
S_{298}° -ს გაანგარიშება (კალ/მოლი· K)									
გროსულიარი, Gro $3CaO \cdot Al_2O_3 \cdot 3SiO_2$	69.54**	$3(CaO \cdot SiO_2)$ Al_2O_3	58.56 12.16	70.72	0.9833	0.9855	69.69	0,15	0.22
ანდრადიტი, And $3CaO \cdot Fe_2O_3 \cdot 3SiO_2$	78.68**	$3(CaO \cdot SiO_2)$ Fe_2O_3	58.56 21.10	79.66	0.9876		78.51	0.17	0.22
$C_{p,298}$ -ს გაანგარიშება (კალ/მოლი· K)									
გროსულიარი, Gro $3CaO \cdot Al_2O_3 \cdot 3SiO_2$	79.20*	$3(CaO \cdot SiO_2)$ Al_2O_3	61.70* 18.82	80.52	0.9836	0.9874	79.51	0.31	0.39
ანდრადიტი, And $3CaO \cdot Fe_2O_3 \cdot 3SiO_2$	85.93*	$3(CaO \cdot SiO_2)$ Fe_2O_3	61.70 24.99	86.69	0.9912		85.60	0.33	0.38

ცხრილი 7. უვაროვიტის (Uva) თერმული კონსტანტების გაანგარიშება

SI	ს.მ.თ.პ, SI	Σს.მ.თ.პ, (A')	K _ბ	B= K _ბ · A'
-ΔH ⁰ _{f,29} , კკალ/მოლი				
3(CaO·SiO ₂), Cr ₂ O ₃	1272.47 171.77	1444.24	1.0079	1455.65
-ΔG ⁰ _{f,29} , კკალ/მოლი				
3(CaO·SiO ₂), Cr ₂ O ₃	1110.37 253.06	1363.43	1.0046	1369.70
S ⁰ _{f,29} , კკალ/მოლი·K				
3(CaO·SiO ₂), Cr ₂ O ₃	58.77 19.40	78.17	0.9729	76.05
C _{P,298} , კკალ/მოლ·K				
3(CaO·SiO ₂), Cr ₂ O ₃	61,70 25,02	86,72	0,9874	85,63

სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდით გაანგარიშებული უვაროვიტის თერმული კონსტანტების მნიშვნელობებია:

$$\Delta H_{f,298}^0 = -1455.65 \text{ კკალ/ მოლი}; \quad \Delta G_{f,298}^0 = -139,70 \text{ კკალ/მოლი};$$

$$S_{f,298}^0 = -76.05 \text{ კკალ/მოლი}\cdot\text{K}; \quad C_{P,298} = 85,63 \text{ კკალ/მოლ}\cdot\text{K}.$$

როგორც აღმოჩნდა, სტრუქტურულ ინგრედიენტთა ადიტიურობის მეთოდით, თერმული კონსტანტების სტანდარტების ცდომილებებისა და ნაერთების სხვადასხვა ტიპების მიუხედავად, გაანგარიშებული თერმოდინამიკური პარამეტრები, სავსებით მისაღებია, რეაქციების თერმოდინამიკური ანალიზის ჩასატრებლად. მათ შორის გრანატის ჯგუფის მინერალებისათვის. შესწავლილია ნაერთები, რომლებიც ხასიათდებიან კუნძულოვანი სილიკატების თვისებით, რაც გამოიხატება მათ სტრუქტურაში იზოლირებული სილიციუმ-ჟანგბადოვანი ტეტრაედრების არსებობით. ისინი განსხვავდებიან გრანატის ჯგუფის სილიკატებისაგან იმით, რომ კრისტალიზდებიან სხვადასხვა კრისტალურ სისტემაში და არ აქვთ დასახელებები, რომლებიც განაზოგადებენ მათ. ერთადერთი ნიშანი იმისა, რომ ისინი მიეკუთვნებიან კუნძულოვან სილიკატებს, არის მათი ქიმიური ფორმულები. მათგან, სამი სილიკატი ხასიათდება როგორც კუბური (Na₂O·CaO·SiO₂, Na₂O·MgO·SiO₂, K₂O·ZnO·SiO₂), 6 - როგორც ექვსკუთხა (ჰექსაგონალური) სინგონიას მიკუთვნებული (მათ შორის მინერალების-

ფენაკიტისა და ვილემიტის ჩათვლით), ერთი ნაერთი (ცირკონი) - ტეტრაგონალურთან მიკუთვნებული, ერთი - რომბულთან ($2\text{BaO} \cdot \text{SiO}_2$) და ბოლოს, ერთი ნაერთი ($2\text{CaO} \cdot \text{SiO}_2$) - ოთხი მოდიფიკაციის სახით, რომელთაგან α -ფორმა ხასიათდება ექვსკუთხა სისტემით, α' - $2\text{CaO} \cdot \text{SiO}_2$ ბრედიგიტ-რომბულით, β -ფორმა (ლარნიტი) - მონოკლინურით და γ - $2\text{CaO} \cdot \text{SiO}_2$ (შენონიტი) - რომბული სისტემით. ასეთ პირობებში ეტალონური ნაერთების არჩევა ძალიან რთულია. მით უმეტეს, რომ ყველა ჩამოთვლილი ნაერთი არ არის მოყვანილი მონაცემთა ბაზაში.

ვინჩელების ნაშრომში, „ხელოვნური მინერალების ოპტიკური თვისებები“, შემოთავაზებული სილიკატების, რომლებიც „ოლივინის ჯგუფის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ეტალონთა შერჩევა არანაკლებ რთულია. ნაერთების ეს ჯგუფი იმით გამოირჩევა კუნძულოვანი სილიკატებისაგან, რომ ისინი ყველა ორვალენტიანი ლითონების ორთოსილიკატებია, რომლებიც კრისტალიზდებიან რომბულ სინგონიაში. თუმცა, ამ დასახელების ქვეშ მოიაზრება ისეთი სილიკატები, რომელთა წარმოქმნაში მონაწილეობენ ერთი, სამი და ოთხვალენტიანი იონები და ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს ნაერთები რომბული სინგონიისგან განსხვავებულად კრისტალიზდებიან.

არა ერთი გადაანგარიშების შედეგების ანალიზმა და მონაცემთა ბაზების შესაძლებლობების შესწავლამ გვაჩვენა, რომ მიზანშეწონილია რამდენადმე შეიცვალოს წყაროში შემოთავაზებული კუნძულოვანი სილიკატების წარმოდგენის თანმიმდევრობა. სილიკატები დაჯგუფდნენ სისტემების (სინგონიების) მიხედვით, რომლებშიც ისინი კრისტალიზდებიან.

ამრიგად, მიღებულია სილიკატების სამი ჯგუფი, რომელთა წარმომადგენლები არიან ფორსტერიტი, ფაიალიტი, ტეფროიტი და მონტიჩელიტი – ნაერთები რომლებიც კრისტალდებიან რომბულ სისტემაში, ჰექსაგონალურში –(ვილენიტი, ფენაკიტი) და მონოკლინიკური სისტემების სილიკატები –(ლარნიტი, მერვინიტი). იგივე ნაერთები გამოიყენებოდა ეტალონებად. სტრუქტურული ინგრედიენტების ადიტიურობის მეთოდის შესაბამისად ჩატარებული გამოთვლების შედეგები მოყვანილია ცხრილებში 8-11.

ამ ცხრილების ანალიზით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ $-\Delta H^0_{298}$ -ს და ΔG^0_{298} -ს გაანგარიშებული მნიშვნელობები თითქმის შეესაბამება მონაცემთა ბაზაში

შემოთავაზებულ ამ პარამეტრების მნიშვნელობებს - შეუსაბამობა მათ შორის 0,5%-ს არ აღემატება; $-S^{0.298}$ -ის და $C_{p.298}$ -ს გაანგარიშებული მნიშვნელობები ორ ენტროპიულ ერთეულს არ აღემატება. რაც, სრულად დამაკმაყოფილებელ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში საჭირო იყო სტანდარტების რაოდენობის გაზრდა ვინჩელის ნაშრომში მითითებული ყველა იმ მინერალის დასაფარად, რომელიც სილიკატების სამი ჯგუფიდან ერთ-ერთთან არის მიკუთვნებული. იყო შემთხვევები, როდესაც წყაროებში მითითებული იყო განსხვავებული კრისტალიზაციის სისტემები ერთი და იგივე სილიკატებისათვის. მაგალითად, ვილენიტის შემთხვევაში ერთი წყარო მიუთითებს, რომ ეს ნაერთი კრისტალიზდება ექვსკუთხა სისტემაში, ხოლო სხვაში მითითებულია ტრიგონალური სისტემა.

